ხათუნა მჭედლიშვილი
გერმანული ენის კონსულტანტი
სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახური
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერ კლასი გერმანული ენის პედაგოგებისათვის
„კოლაბორაციული ანუ თანამშრომლობითი სწავლა“

კოლაბორაციული ანუ თანამშრომლობითი სწავლა წარმოადგენს ჯგუფური მუშაობის განსაკუთრებულ ფორმას, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული როლი ენიჭება გაკვეთილზე სოციალური პროცესების ხელშეწყობას.

მრავალფეროვანი აქტივობებითა და გააზრებულად დაგეგმილი პროცესებით ხდება ჯგუფის ცალკეული მონაწილის პასუხისმგებლობის ამაღლება და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულებების შექმნა, რაც გავლენას ახდენს, როგორც სოციალურ ინტერაქციურ პროცესებზე, ასევე სამუშაო შედეგებსა ან საბოლოო პროდუქტზე.

აღსანიშნავია რომ სამუშაო პროცესს კოლაბორაციული სწავლებისას თითქმის ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება როგორც შედეგს.

- მასტერკლასის ფარგლებში პედაგოგები მოსწავლის პერსპექტივიდან მოსინჯავენ, გააცნობიერებენ და შემდგომ მასწავლებლის პოზიციიდან გაანალიზებენ სწავლა/სწავლების ინტერაქციულ და კოლაბორაციურ მეთოდებს.
- გაეცნობიან და გაანალიზებენ კოლაბორაციული მეთოდების ძირითად არსს და კონცეფციას.
- მოარგებენ წარმოდგენილ აქტივობებს საკუთარ სასწავლო მასალას.

<u>**მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი:**</u> გერმანულ ენის მოქმედი მასწავლებლები

<u>**მსმენელთა რაოდენობა:**</u> 20 მსმენელი

<u>**მასტერ კლასის ხანგრძლივობა:**</u> 4 საათი.